

თბილისის
წიგნის
საერთაშორისო
ფესტივალი

2015

TBILISI **17**
INTERNATIONAL
BOOK FAIR



გამომცემლობა „აგორა“

მისამართი: უზნაძის N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: 555 54 19 00
E-mail: agorageo@hotmail.com
agoraeka@yahoo.com
ვებგვერდი: <http://www.agorabooks.ge>
Fb: <https://www.facebook.com/agorageo>
საკონტაქტო პირი: მარინა ბალაგაძე,
ეკა ჩაჩხიანი

გამომცემლობა „აგორა“ დაარსდა
2006 წელს. ის ძირითადად გამოსცემს
ქართულად თარგმნილ ფრანგულენოვან
ლიტერატურას – მხატვრულ ნაწარმოებებს,
ფილოსოფიური, სოციალოგიური ხასიათის
ესეებს, დოკუმენტურ პროზას, საბავშვო
ლიტერატურას; მცირე რაოდენობით
არაფრანგული ლიტერატურის თარგმანებს.



გამომცემლობა „არეტე“ პარნასი ჯგუფი

მისამართი: ქავთაძის N 22;
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 32 2 25 02 55
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია

გამომცემლობა „არეტე“ დაარსდა 2003
წელს. მას შემდეგ არეტეს 50-ზე მეტი წიგნი
აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული,
საბავშვო და მეცნიერული ლიტერატურა.

ამჟამად „არეტეს“ საგამომცემლო
პრიორეტებია: ოთარ ქილაძის
ნაწარმოებების სრული კრებული; მსოფლიო
კლასიკური ლიტერატურის თარგმანები
სერიით „აუცილებელი საკითხავი“; ჯორჯ
მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის
სიმღერა“.



გამომცემლობა
არტანუჯი



გამომცემლობა ბაკმი

გამომცემლობა „არტანუჯი“

მისამართი: ჭავჭავაძის N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 2 25 05 22
E-mail: artanuji@artanuji.ge
ვებგვერდი: www.artanuji.ge
საკონტაქტო პირი: მაია კუდაგა

გამომცემლობა „ბაკმი“

მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის N 7;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 72 54 99; 597 75 65 35
E-mail: bakmipublishing@gmail.com
ვებგვერდი: www.bakmi.ge
Fb: <https://www.facebook.com/publishing-bakmi>
საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის“ ბაზაზე დაარსდა. გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა საისტორიო-სამეცნიერო თემატიკა.

საისტორიო მიმართულების პარალელურად, „არტანუჯი“ გამოსცემს საბავშვო, მხატვრულ, შემეცნებით ლიტერატურას, პოპულარულ ადამიანთა ავტობიოგრაფიებს, ლექსიკონებს და სხვ.

„არტანუჯი“ ლიდერია ღია ბარათების მრავალფეროვნებითა და ხარისხით.

გამომცემლობა „ბაკმი“ დაარსდა 2000 წელს. გამომცემლობის მთავარი მიზანია ყმაწვილი და ახალგაზრდა თაობების მწიგნობრული აღზრდა, ენციკლოპედიურ ცოდნასთან მიახლოება, სწორი ენობრივი მეტყველება და აზროვნების ჩამოყალიბება.

„ბაკმის“ პრიორიტეტია მკითხველი საზოგადოებისადმი მიწოდებული წიგნების მაღალმხატვრული დონე და გამოცემის საერთაშორისო სტანდარტი. „ბაკმი“ გამოსცემს პროზას, პოეზიას, შემეცნებით, საბავშვო და სასულიერო ლიტერატურას.



წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“

მისამართი: იოსებძის N 27;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 570 90 00 95
E-mail: biblusi@biblusi.ge
ვებგვერდი: www.biblusi.ge
Fb: <https://www.facebook.com/biblusi.ge>
საკონტაქტო პირი: მარიამ წამალაშვილი

წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“ დაარსდა 2008 წლის 23 მაისს, კომპანიის არსებობის თითქმის 5 წლის მანძილზე „ბიბლუსმა“ შეძლო შეექმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებსა და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის დამსახურებული ნდობით. დღეისათვის მომხმარებელს ემსახურება „ბიბლუსის“ 40 ფილიალი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სადისტრიბუციო კომპანია „ბუქსტორი“

მისამართი: ყყონდიდელის N 26;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 2 69 09 01
E-mail: premier@access.sanet.ge
საკონტაქტო პირი: დავით ჯვარშიშვილი

შ.პ.ს. „ბუქსტორი“ არის „Penguin“-ის, „DK“-ის და სხვა გამომცემლობების დისტრიბუტორი. შედის „Pearson group“-ში და ეწევა ინგლისურენოვანი მხატვრული და საბავშვო-შემეცნებითი ლიტერატურის რეალიზაციას.



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

მისამართი: ქანტურიას N 8;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 2 93 28 90; 599 26 52 33
E-mail: teatvalavadze@gmail.com
საკონტაქტო პირი: თეა თვალავაძე

გამომცემლობა „მორგა“

მისამართი: ჩახავას N 9;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 2 20 26 07
E-mail: ianikolaishvili@gmail.com
საკონტაქტო პირი: ია ნიკოლაიშვილი

ლიტერატურის მუზეუმი 1940 წლიდან არსებობს. დღეისათვის ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობას მომზადებული და დაბეჭდილი აქვს ასზე მეტი წიგნი, მათ შორის: ტომეულები (გალაკტიონ ტაბიძის ოცდახუთთომეული, გრიგოლ რობაქიძის ხუთთომეული, 1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების ოთხთომეული, აკაკი წერეთლის ორთომეული), მუზეუმის კრებულის „ლიტერატურის მათიანე“ 12 წიგნი, საარქივო გამოცემები, საიუბილეო კრებულები, დღიურები და მემუარები. წიგნებს ერთვის კომენტარები, საძიებლები, მუზეუმსა და სხვა კოლექციებში დაცული ფოტოების, ნახატების, ხელნაწერებისა და მემორიალური ნივთების რეპროდუქციები.

ძირითადი მიმართულებას საბავშვო წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა.



წიგნის მაღაზია „ერუდიტი“

მისამართი: ნუცუბიძის N 16;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 2 37 31 81; 593 15 09 64
E-mail: imedi@gol.ge, tadtaev50@gmail.com
საკონტაქტო პირი: დიმიტრი ტადტაევი

გამომცემლობა „დილა“

მისამართი: ზანდუკელის N 1;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 93 69 77; 599 31 28 28
E-mail: dila1904@yahoo.com
ვებგვერდი: www.dila.ge
Fb: <https://www.facebook.com/dila1904>
საკონტაქტო პირი: სალომე კვაჭანტირაძე

კომპანია თანამშრომლობს 30-ზე მეტ წამყვან რუსულ გამომცემლობასთან. მაღაზიაში ძირითადად წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. ასევე აქვს მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩვანი. მიიღება წინასწარი შეკვეთები ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.

საბავშვო გამომცემლობა „დილა“ დაარსდა 2007 წელს საბავშვო ჟურნალ „დილის“ ბაზაზე. მისი პირველი პროექტი იყო ორიგინალური ქართული საყმაწვილო ენციკლოპედიის სერია, რომელიც უკვე 15 ტომს ითვლის; კიდევ ერთი სერია – „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ – მოიცავს ლიტერატურულ-შემეცნებით წიგნებსა და თანამედროვე ქართველ საბავშვო მწერალთა კრებულებს. დღემდე გამოცემული ყველა წიგნი ორიგინალური ქართული გამოცემაა, რომელთა მომზადებაში ქართველი ავტორები, მეცნიერები და ილუსტრატორები მონაწილეობენ. გამომცემლობა აგრძელებს 1904 წელს დაარსებული და დღეს უკვე ბრენდად ქცეული საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის – „დილის“ – გამოცემას.



გამომცემლობა „დიოგენე“

მისამართი: აფაქიძის N 7;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 21 33 21; 2 21 23 63; 2 21 31 54
E-mail: pr@diogene.ge; adm@diogene.ge
ვებგვერდი: www.diogene.ge
Fb: <https://www.facebook.com/diogenepublishers>
საკონტაქტო პირი: ნინო კუსრაშვილი

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და წევრი გამომცემლობა „დიოგენე“ დაარსდა 1995 წელს. „დიოგენეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია საგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურა. გამომცემლობა წლიურად დაახლოებით 40 სხვადასხვა დასახელების წიგნს გამოსცემს. 2011 წლიდან გამომცემლობასთან ერთად ფუნქციონირებს წიგნის მაღაზია „დიოგენე“.



ელფის გამომცემლობა

მისამართი: კოსტავას N 24;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 92 35 70; 2 93 33 66
E-mail: info.elf.ge; adm@elf.ge; sale@elf.ge
ვებგვერდი: www.elf.ge
საკონტაქტო პირი: თინათინ დიდებულიძე

ელფის გამომცემლობა დაარსდა 1996 წლის 23 აპრილს. საგამომცემლო პრიორიტეტებია: საბავშვო, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, ენციკლოპედიები, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ხელახალი თარგმნა და ქართული საზოგადოებისთვის უცნობი ნაწარმოებების გამოცემა.



წიგნის სადისტრიბუციო კომპანია „ექსპრეს ბუქსი“

მისამართი: ანჯაფარიძის N 16;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 22 07 08
E-mail: expressbooksgroup@gmail.com
საკონტაქტო პირი: ეტი ჯაფარიძე

გამომცემლობა „მკასრძე მრუპ“

მისამართი: ბახტრიონის N 28;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 30 81 23; 593 93 98 12
E-mail: mkasradzefr@yahoo.fr
საკონტაქტო პირი: მარიამ კასრაძე

წიგნის სადისტრიბუციო კომპანია „ექსპრეს ბუქსი“ წიგნის ბაზარზე 2012 წლიდან მოღვაწეობს. ის თანამშრომლობს არა მხოლოდ გამომცემლებთან, არამედ ავტორებს ეხმარება წიგნის გავრცელებაში.

„ექსპრეს ბუქსი“ აქტიურად მონაწილეობს წიგნის საღამოებსა და ფესტივალებზე. ასევე წიგნის გავრცელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქცია/პრეზენტაციაში. „ექსპრეს ბუქსი“ თანამშრომლობს სამასამდე კომპანიასთან, ბიბლიოთეკებთან, ლიტერატურულ კაფეებთან, სადისტრიბუციო კომპანიებთან და წიგნის მაღაზიებთან მთელი საქართველოს მასშტაბით.

„მკასრძე გრუპ“ ძირითადად საბავშვო ლიტერატურას გამოსცემს. ის 2008 წელს დაარსდა და დღემდე ორმოცამდე წიგნი გამოსცა. მოზარდთათვის 2012 წელს შექმნა პირველი ქართული pocket books-ის სერია, სახელწოდებით „მკასრძე პოკეტ“.



უნივერსიტეტის
გამოცემლობა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა


მისამართი: ჭავჭავაძის N 14;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 25 14 32
E-mail: tamar.ebravidze@tsu.ge
ვებგვერდი: www.press.tsu.ge
საკონტაქტო პირი: თამარ ებრავიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზ. N 3/5;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 10 59 11
E-mail: library@iliauni.edu.ge
საკონტაქტო პირი: თეონა ყაგელაშვილი

გამომცემლობა დაარსდა 1993 წელს. ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. გამოსცემს როგორც სამეცნიერო, ასევე მხატვრულ ლიტერატურას, ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებს.

ილიაუნის ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი ფონდი მოიცავს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ 2 მილიონამდე მონოგრაფიას, სახელმძღვანელოს, პერიოდულ გამოცემას, ელექტრონულ რესურსს და ა. შ. ბიბლიოთეკა ზრუნავს და პასუხს აგებს არსებული კოლექციების დაცვასა და განვითარებაზე. მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომს და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზ. N 3/5;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 577 23 77 49
E-mail: gigakekelia@iliauni.edu.ge
საკონტაქტო პირი: გრიგოლ კეკელია

„ინგლისური წიგნი საქართველოში“

მისამართი: დიდი დიღომი,
ნესტან-დარეჯანის N 1;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 00 12 44
E-mail: englishbookteam@englishbook.ge
ვებგვერდი: www.englishbook.ge

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს
უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო
და კვლევითი პროცესების წარმართვას,
რისთვისაც:

გამოსცემს უნივერსიტეტის სამეცნიერო
კვლევის შედეგებს; გამოსცემს უნივერსიტეტის
მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოებს;
თარგმნის და გამოსცემს ამა თუ იმ დარგის
საუკეთესო სახელმძღვანელოებსა და
სამეცნიერო ლიტერატურას; უზრუნველყოფს
სასწავლო პროცესს სასწავლო მასალებით
(რიდერებით, ტესტებით, კითხვარებით და ა. შ.),
ბეჭდავს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო და
სარეკლამო პროდუქციას;

გამომცემლობამ 2006 წლიდან დღემდე 200-ზე
მეტი წიგნი, ჟურნალი და სახელმძღვანელო
გამოსცა.

კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“
არის ბრიტანული გამომცემლობების –
Macmillan Education, Person Education, Oxford
University Press, Penguin-ის ექსკლუზიური
წარმომადგენელი საქართველოში.
კომპანია მომხმარებელს სთავაზობს
მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ
ლიტერატურას, ბიოგრაფიულ, საბავშვო და
სათავგადასავლო წიგნებს, ადაპტირებული
საკითხავების მრავალფეროვან არჩევანს,
New York Times-ის ყველაზე გაყიდვად
წიგნებსა და ინგლისური ენის თანამედროვე
სასწავლო რესურსებს.



გამომცემლობა „ინტელექტი“

მისამართი: ქავჭავაძის N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 25 05 22
E-mail: intelekti@caucasus.net
საკონტაქტო პირი: კახმეგ კუდავა

შ.პ.ს სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“

მისამართი: ქავჭავაძის N 17ბ;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 18 25 44; 571 03 00 70
E-mail: iriatoni@gmail.com
საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ კორტავა

გამომცემლობა „ინტელექტი“ დაარსდა 1994 წელს. მას შემდეგ გამოსცემს სახელმძღვანელოებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისთვის, თანამედროვე და კლასიკურ პოეზიასა და პროზას.

გამომცემლობა „ინტელექტს“ აქვს რამდენიმე საავტორო სერია, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია: „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „100 ლექსი“, „ჩანაწერები“, „ერთი შედეგის ყველა ქართული თარგმანი“ და ა. შ.

სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“ დაარსდა 2013 წელს და დისტრიბუციას უწევს სხვადასხვა გამომცემლობის პროდუქციას.



შ.პ.ს. იურისტების სამყარო

მისამართი: კოსტავას N 75;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 38 35 99; 557 51 51 34;
E-mail: lawyers.world@yahoo.com;
v.shatirishvili@yahoo.com
Fb. <https://www.facebook.com/publishinghouselawyersworld>
საკონტაქტო პირი: ვახტანგ შათირიშვილი

დაარსდა 2012 წლის 29 აგვისტოს.
„იურისტების სამყარო“, საქართველოში
ერთ-ერთ წამყვან გამომცემლობად
ჩამოყალიბდა იურიდიული წიგნების
გამოცემაში. გამომცემლობა
ყოველწლიურად 50-მდე სხვადასხვა
მიმართულების იურიდიულ ლიტერატურას
გამოსცემს. წიგნის მალაზია „იურისტების
სამყარო“ 2012 წლის 10 სექტემბრიდან
ფუნქციონირებს მერაბ კოსტავას N 75-ში
და 2013 წლიდან შეემატა კიდევ ერთი
ფილიალი კეკელიძის N 1-ში.

2016 წლიდან სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე
პრიორიტეტი დაემატება „იურისტების
სამყაროს“ საგამომცემლო საქმიანობას,
რაც უფრო გაამდიდრებს ქართულ წიგნის
ბაზარს.

აიიკ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“

მისამართი: აღმაშენებლის N 40;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 94 37 28; 577 28 87 62
E-mail: mariamiashvili@yahoo.com
ვებგვერდი: www.tafu.edu.ge
საკონტაქტო პირები: მარიამ იაშვილი, მაკა ვასაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“
არის საუნივერსიტეტო გამომცემლობა,
რომელიც ჩამოყალიბდა 2007 წელს.
გამომცემლობა პერიოდულად ბეჭდავს
სახელოვნებო მეცნიერებაში მოღვაწე
საერთაშორისო, რეფერირებული
შრომების კრებულს „სახელოვნებო
მეცნიერებათა ძიებანი“; ყოველთვიურ
სტუდენტურ გაზეთს „დურუჯი“; აგრეთვე
სახელმძღვანელოებს, დამხმარე
სახელმძღვანელოებს, ქრესტომათიებს,
თარგმანებს, უნივერსიტეტის პროფესორ-
მასწავლებელთა წიგნებს და სხვა.



გამომცემლობა „კლიო“



მისამართი: აღმაშენებლის გამზ. N 181;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 34 04 30
E-mail: book@klio.ge
ვებგვერდი: www.klio.ge
საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაფიისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“



მისამართი: ქავჭავაძის N 13;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 25 02 58
E-mail: gocha@logos.mail.ru
საკონტაქტო პირი: გონა კველიშვილი

ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წელს ბერძნული და რომაული ფილოლოგიის სფეროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფების გაერთიანების საფუძველზე. ინსტიტუტის აკადემიური სექტორი წამოადგენილია სამი მიმართულებით: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და საკონფერენციო ცენტრები.



გამომცემლობა „მერიდიანი“

მისამართი: ყაზბეგის N 47;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 39 15 22; 599 54 17 07;
599 23 51 78
E-mail: meridiani777@gmail.com
საკონტაქტო პირები: კახაბერ რუსიძე,
მარინა კილაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაარსდა 1994 წლის 13 მარტს. გამომცემლობა ძირითადად გამოსცემს სახელმძღვანელოებს, იურიდიულ და სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე მხატვრულ და საბავშვო წიგნებს.

გამომცემლობა „ნაკადული“

მისამართი: პეკინის N 47;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 38 40 49; 574 44 20 70
E-mail: ltdnakaduli@yahoo.com
საკონტაქტო პირი: დავით ასათიანი

გამომცემლობა „ნაკადული“ დაარსდა 1938 წლის 14 აპრილს, გამოსცემს კლასიკას და საბავშვო ლიტერატურას.



ინგლისური წიგნების მაღაზია „პროსპერო“

მისამართი: რუსთაველის N 34;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 92 35 92;
E-mail: info@prosperobookshop.com
ვებგვერდი: www.prosperobookshop.com

„პროსპეროს წიგნები“ 1999 წლიდან სთავაზობს მკითხველს ინგლისური წიგნების უდიდეს არჩევანს საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში. აქ თქვენ ნახავთ მხატვრულ, ისტორიულ, ბიოგრაფიულ, საცნობარო, სამეცნიერო თუ აკადემიურ და საბავშვო ლიტერატურას, ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს ყველა დონისთვის, ასევე წიგნებს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე, მოგზაურობაზე, რეგიონულ საკითხებზე და მრავალ სხვას.



საბა

ელექტრონული
წიგნების
სახლი

ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“

მისამართი: უნივერსიტეტის N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 27 27 27 (*2840)
E-mail: service@saba.com.ge
ვებგვერდი: www.saba.com
საკონტაქტო პირი: მარიამ ლაპიაშვილი

ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ აერთიანებს ქართულ ენაზე გამოცემულ მრავალფეროვან, ქართულ და უცხოურ კლასიკურ შედეგებსა და თანამედროვე ლიტერატურულ ბესტსელერებს, რომელთა წაკითხვა შესაძლებელია კომპიუტერში, სმარტფონსა და ტაბლეთში. ეს ელექტრონული პლატფორმა შესანიშნავი საშუალებაა თანამედროვე ადამიანისთვის, ყოველთვის იყოს ლიტერატურული პროცესის ავანგარდში, არასდროს ჩამორჩეს დროს და ატაროს თან საყვარელი წიგნები.



შ.პ.ს. საერთაშორისო სახლი



მისამართი: 26 მაისის მოედანი N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 94 05 15; 2 10 51 45
E-mail: info@ihtbilisi.ge;
ekabekauri@gmail.com
საკონტაქტო პირი: ეკატერინე ქურდაშვილი

„საერთაშორისო სახლის“ წიგნის მაღაზია პირველი ინგლისური წიგნის მაღაზიაა საქართველოში 1995 წლიდან, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ თქვენთვის საჭირო სასწავლო, მეთოდური თუ მხატვრული ლიტერატურა. მაღაზიას ამარაგებს ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობები, როგორიცაა: „პიარსონი“, „კინგვინი“, „ჰარპერ კოლინზი“, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია



მისამართი: რუსთაველის N 40;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 93 29 12
საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია

მწიგნობართა ასოციაცია დაარსდა 1974 წელს. ასოციაციის ძირითადი საქმიანობაა ქართული და უცხოური გამოცემების პოპულარიზაცია. ასოციაცია დაარსებიდან დღემდე გამოსცემს მინიატიურულ წიგნებს, ძირითადად კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

20/21



საქართველოს საკაბრიარქოს გამომცემლობა

მისამართი: ერეკლე II N 1;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 98 26 34; 599 19 68 23;
E-mail: madly.ssg@rambler.ru
საკონტაქტო პირები: გრიგოლ რუხაძე,
დიმიტრი ბუთლიაშვილი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

მისამართი: გუდიაშვილის N 7;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 97 16 55; 577 43 64 78
E-mail: mariamiashvili@yahoo.com
ვებგვერდი: www.tafu.edu.ge
საკონტაქტო პირი: რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაცია წარმოადგენს ნებაყოფლობით
საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის
ძირითადი სამოქმედო პრინციპებია:
საქართველოს ბიბლიოთეკები ფლობენ
კულტურის, განათლების, ინფორმაციისა
და ცოდნის უდიდეს საგანძურს, რომელიც
ესაჭიროება ყოველ ჩვენგანს, ჩვენს
ქვეყანას და მის თითოეულ მოქალაქეს.
მისი აღნუსხვა და დაცვა ხელს შეუწყობს ამ
საგანძურის გამოყენებას ყოველი ჩვენგანის
საკეთილდღეოდ. ეს ცოდნა, ინფორმაცია
განსაკუთრებულად გვესაჭიროება
პოლიტიკური, ეკონომიკური და
დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში.



CEZANNE
PRINTING HOUSE

შ.პ.ს. საქნიგნი



მისამართი: მარტანიშვილის N 9;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 95 83 99; 555 44 22 61
E-mail: maiaberiashvili@yahoo.com
საკონტაქტო პირი: ღმარ კერესელიძე

გამომცემლობა „საზანი“



მისამართი: წერეთლის გამზირი N 140;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 35 70 02; 599 67 77 56
E-mail: irinacezanne@gmail.com
lika@cezanne-გებგვერდი.com
ვებგვერდი: www.tafu.edu.ge
საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი

დაარსდა 1932 წელს. ეს არის
სადისტრიბუციო სამსახური, რომელიც
ავრცელებს მრავალფეროვანი თემატიკის
წიგნებს.

22/23



გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

მისამართი: კოსტავას N 68;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 40 92 40; 599 53 53 76
E-mail: book@georgianbc.ge
საკონტაქტო პირი: ხათუნა მიქაბერიძე



გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“

გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
2015 წელს დააარსდა და პირველად
საქართველოში დაიწყო სერიის
გამოცემა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო
ფანტასტიკას, ფენტეზის, დისტოპიას
და სხვა მონათესავე ჟანრებს. სერიის
სახელწოდებაა „ფანტასტიკური
ბიბლიოთეკა“. გარდა ამისა, გამომცემლობა
ორიენტირებულია ბავშვებისა და
მოზარდებისთვის განკუთვნილი
ლიტერატურისა და ბესტსელერების
გამოცემაზე.



წიგნის მაღაზია „წიგნები ვაკეში“

მისამართი: ფალიაშვილის N 66;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 23 29 80
E-mail: info@booksin.ge; mariamkik@yahoo.com
საკონტაქტო პირი: მარიამ კიკაჩიშვილი

დაარსდა 2009 წელს. „წიგნები ვაკეში“ – ეს არის წიგნების მაღაზია, რომელშიც წარმოდგენილია ქართული და უცხოური გამოცემები ნებისმიერი ასაკისათვის, საკანცელარიო პროდუქცია, საბავშვო საჩუქრები. მიიღება კერძო შეკვეთები ქართულ, რუსულ და ინგლისურ წიგნებზე. ყველა საჭირო წიგნი ერთ მაღაზიაში.

გამომცემლობა წიგნი+ქი

მისამართი: ლალიძის N 2;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 30 85 27; 571 13 12 11;
E-mail: mzia_r@yahoo.com
ვებგვერდი: www.mpggroup.ge
საკონტაქტო პირი: მზია რაზმაძე

გამომცემლობა „წიგნი+ქი“ დაარსდა 2012 წლის მარტში. გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. „წიგნი+ქი“ გამოსცა ტომეული „ჩვენი ღირსებანი“, ცალკე წიგნებად ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური) გამოცემულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სიხარულისანი“ და ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა განავითარებს, ფსიქოლოგია.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მისამართი: ალექსიძის N 1/3;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 47 42 42; 599 17 12 26
E-mail: irmaberidze@manuscript.ac.ge
lanagrdzelishvili@gmail.com
საკონტაქტო პირები: ირმა ბერიძე,
ლანა გრძელიშვილი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

მისამართი: ზოვრეთის N 38;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 38 04 67/68
E-mail: info@ge.boell.org
საკონტაქტო პირი: თამარ შვანგირაძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უძველესი წიგნებისა და ისტორიული საბუთების უმნიშვნელოვანეს საცავს წარმოადგენს. მასში დღემდე მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. გამოცემლობა საზოგადოებას სთავაზობს სხვადასხვა სახის ბეჭდურ პროდუქციას: სამეცნიერო კრებულებს, ხელნაწერებს, ისტორიული საბუთების, პირადი არქივების აღწერილობებსა და კატალოგებს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პერიოდულ გამოცემას, საცნობარო და ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურას, ფუნდამენტურ პუბლიკაციებს, საიუბილეო და მიძღვნიტ ბარათებს და ა. შ.

საგამომცემლო სამსახურის მიერ გამოცემულ პროდუქციას ენიჭება გრიფი და საერთაშორისო ნომერი (ISBN).

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მწვანე პოლიტიკური ფონდია და იზიარებს გერმანიის ბუნდესტაგში წარმოდგენილი პარტიის კავშირი „90/მწვანეები“ პოლიტიკურ ღირებულებებს. მსოფლიოს მასშტაბით ის ეწევა და მხარს უჭერს აქტივობებს პოლიტიკური და სამოქალაქო განათლების სფეროში. სამხრეთ კავკასიაში ფონდი 12 წელია აქტიურად მუშაობს დემოკრატიული, მდგრადი განვითარებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

მისამართი: ჭორჭ ბალანჩინის N 11;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 27 70 00
ვებგვერდი: www.georgia.usambassy.gov
Fb: www.facebook.com/tbilisis.usambassy

მიგაემოსეალობა „ოჩოპინტრა“

მისამართი: რუსთაველის N 16;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 30 70 09
E-mail: ochobooks@yahoo.com
ვებგვერდი: www.ochobooks.ge



ჯეოსელი

მისამართი: გოთუას N 3;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 77 01 00; 577 400 104
E-mail: corpcom@geocell.com
საკონტაქტო პირი: თამარ როდონაია

ჯეოსელი პირველი GSM ოპერატორია
საქართველოში, შვედურ-ფინური
სატელეკომუნიკაციო ჯგუფის,
თელიასონერას წევრი.

ი/მ ირინა ღენიკიძე

მისამართი: ფიფიების ძმის N 25;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 593 27 62 37; 593 57 73 36
E-mail: tania55@yandex.ru
საკონტაქტო პირი: ელენა მარდლიანი

ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებაა
საბავშვო, სამხატვრო და სასწავლო
ლიტერატურის გაყიდვა.



წიგნის მაღაზია „შექსპირი და კომპანია“

მისამართი: მარტანიშვილის N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 790 36 22 65
E-mail: adm@shakespeareandcompanygeorgia.com
საკონტაქტო პირი: ზურა ჭიჭიაშვილი

გამომცემლობა „დინ სტუდიო“

თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 18 41 84; 599 12 90 03
E-mail: info@dinstudio.ge
ვებგვერდი: www.dinstudio.ge

„შექსპირი და კომპანია“ სტუმრებს განსაკუთრებულ ინტერიერს სთავაზობს, სადაც ნებისმიერი ადამიანი თავს იგრძნობს ლიტერატურულ სამყაროში, სადაც პერსონაჟები და მწერლები – ნახატებისა თუ მარიონეტების სახით გვევლინებიან გზამკვლევებად სასურველი წიგნის საძიებლად.


„შექსპირი და კომპანიაში“ შეგიძლიათ შეიძინოთ ქართული და უცხოური წიგნები, ხელნაკეთი ორიგინალური ნივთები – სანათები, უბის წიგნაკები, სანიშნეები. ასევე თქვენი საყვარელი წიგნების, ფილმებისა და ნახატების პოსტერები.

„შექსპირი და კომპანიაში“ თქვენ გელით კვალიფიციური მომსახურება, უფასო ინტერნეტი, ყავა და სასიამოვნო მუსიკა.

გამომცემლობა „დინ სტუდიო“ დაარსდა იდეით, რომ ჩვენს ქვეყანაში განვითარდეს კომიქსების კულტურა. გამომცემლობა ექსკლუზიურად წარმოადგენს „მარველს“ საქართველოში. 2015 წელს „დინ სტუდიომ“ გამოსცა გრაფიკული ნოველა, ბალადა „ვეფხისტა და მოყმისა“.



ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს
კულტურის განყოფილება



ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურული განყოფილება

შ.პ.ს. ბუქკაფე

მისამართი: ნუგზარ საგაიას N 8;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 25 33 70; 2 25 33 71; 2 25 33 72;
წარმომადგენელი: მოჭთაბა ქამრანდარდი

მისამართი: გურამიშვილის N 15;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 599 55 05 54
E-mail: lishalvashvili@gmail.com
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

შ.პ.ს. „ბუქკაფე“ წარმოადგენს
საგამომცემლო გაერთიანებას, რომლის
მიზანია მხატვრული ლიტერატურის
გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება,
ლიტერატურული შეხვედრების
მოწყობა მწერლებთან, ახალი წიგნების
პრეზენტაციები. წიგნიერების დონის
ამაღლების მიზნით სხვადასხვა
ღონისძიების ჩატარება.



შ.პ.ს. ბუქსიტი

მისამართი: კოსტავას N 47;
თბილისი, საქართველო
ტელ: 592 22 33 36
E-mail: asitashvili@gmail.com
საკონტაქტო პირი: გიორგი ასიტაშვილი

გამომცემლობა „სიესტა“

მისამართი: დ.აბაშიძის N 10;
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 2 92 31 49
Fb: www.facebook.com/siestabooks
siestabooks.blogspot.com
საკონტაქტო პირი: ნათია გულიაშვილი

გამომცემლობა „სიესტა“ დაარსდა 2004 წელს. „სიესტას“ საგამომცემლო პოლიტიკა კლასიკური და თანამედროვე ავტორების თარგმნაა. აგრეთვე თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის გამოცემა. „სიესტას“ მიერ გამოცემული ავტორები ყოველწლიურად ჭილდოვდებიან სხვადასხვა ლიტერატურული პრემიით. 2012 წელს „სიესტამ“ lit.ge-სთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის პირველ ლიტერატურულ/სამოგზაურო ფესტივალს lit tour-ს, სადაც პირველად წელს ამიერკავკასიის ავტორები მონაწილეობდნენ. 2014 წელს კი ფესტივალს ეწვია ევროპელი, აზიელი, სამხრეთ კავკასიისა და არაბეთის ოცამდე ქვეყნის ავტორი, გამომცემელი, ლიტერატურული აგენტი და კრიტიკოსი.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი

TBILISI **17**
INTERNATIONAL
BOOK FAIR

თბილისის წიგნის ბერძენობა
საერთაშორისო ფესტივალს საკუთარ
სტუმრების სტატუსით ეწვივნენ
გამომცემლები არაბული სამყაროს
სხვადასხვა ქვეყნიდან:

Sharjah International Book Fair

Al Hudhud Publishing House. **UAE**

Kutab Publishing House. **UAE**

Al Oma Publishing House. **ALGERIA**

Egyptian Printing Office. **EGYPT**

Al Faris Publishing House. **JORDAN**



რეცენზია

- „წიგნის ქურდი“: წიგნებსა და ადამიანებზე
მთელი ბლუმი
- ყვავილები ელჯარნონისთვის
ვგა ირემბუშილი
- მარგარეტ ტატჩერი მისივე სიტყვებით
გიორგი ბადრიძე
- გენგრას ჩაფიქრებული მთელი სამყარო
მარიამ მაკლელანი
- პის ცხოვრება ანუ როგორ გავიცნოთ ღმერთი
მაშო სამადაშვილი



მარკუს ზუსაკი

წიგნის ქურდი

ინგლისურიდან თარგმნა

ნათია ჩუბინიძემ

გამომცემლობა „შალიტრა L“

2015

„ნიგნის ქურდი“: წიგნებსა და ადამიანებზე

მთლი ალუმი

არაერთხელ მითქვამს – თუ რამეს ვერ ვიტან, აუცილებლად წასაკითხი წიგნების სიაა, ვილაცის ან ვილაცების მიერ გულმოდგინედ ჩამოწერილ-ჩამოწიკვებული. რა ვქნა, არ მიყვარს ღირეტივები და მომკალით. არც იმაზე ვგიჟდები, ვინმე საკუთარ გემოვნებას რომ მახვევს თავს. არადა, მეონი სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებ ახლა – ერთი რომანის წაკითხვა დაჟინებით უნდა გირჩიოთ და საკუთარი პრინციპებისგან ასეთ გადახვევას მხოლოდ იმით თუ გავამართლებ, რომ მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“ მართო წიგნი არ არის – დაუნდობელი დარტყმაა მზის წნულში.

კაცმა რომ თქვას, რა უნდა დაწერო დღეს ახალი ომის შესახებ? მაგრამ როცა 1939 წლის იანვრის სუსხიან დღიას ლიზელ მემინგერთან ერთად დაადგებით გზას, მიხვდებით, რომ მარკუს ზუზაკმა ეს მოახერხა, თანაც ისე, რომ სანამ ბოლო გვერდებსაც ჩაიკითხავთ, ბევრჯერ სუნთქვაც გაგიჭირდებათ და ფანჯრის გასაღებადაც წამოდგებით, რომ დახშულ ფილტვებს ორიოდე ყლუპი ჰაერი მიაშველოთ.

მიაბიჯებთ ლიზელთან ერთად, უსმენტ სიკვდილის მონათხრობს (არ მოგეჩვენათ, ნამდვილად სიკვდილისას) და ვის აღარ ხვდებით. რუდი შტაინერიც აქაა – ლიზელის ერთგული მეგობარი, ჰანს ჰუბერმანიც, მამის მაგივრობას რომ უწევს გოგონას. აი, როზას, მის ცოლს, დედობა მაინცდამაინც არ გამოსდის, არადა, ურიგო ადამიანი როდია... ჰო, კიდევ მაქს ვანდენბურგია ამ წიგნში, ლტოლვილი ებრაელი, „ზეციურ ქუჩაზე“ ჰუბერმანებმა რომ შეიფა-

რეს. მისი და ლიზელის ურთიერთობა ღირს მართო ერთ წიგნად.

ნუ შეგაშინებთ ზუზაკის უჩვეულო სტილი, მისეული, ყველასაგან განსხვავებული მხატვრული სამყარო, ერთი შეხედვით არეულ-დარეული თხრობა – ეს მხოლოდ ჩარჩოა იმისთვის, რაც მთავარია ამ წიგნში – სიტყვებისთვის, რომლებსაც ადამიანების ხსნაც შეუძლიათ და განადგურებაც. სიტყვებია აქ ყველაზე მნიშვნელოვანი.

ეს წიგნი გულს ნაფლეთებად გიქცევთ, მაგრამ თვითონვე შეგიკოწიწებთ და გაგიმთელებთ, იმიტომ რომ უამრავ სისასტიკესთან, სიმახინჯესთან, ბოროტებასთან ერთად სიკეთეც აქვია, სიყვარულიც, სიბრალულიც და ადამიანობაც. აქ ბევრი სიკვდილია, მაგრამ სიცოცხლის მარადიულობის იმედიც ციმციმებს, მიუხედავად იმისა, რომ ფინალი სევდიანია – წიგნი უკვე მოხუცებული ლიზელისა და სიკვდილის შეხვედრით მთავრდება, უფრო სწორად, ამ ფრიად უჩვეულო მთხრობელის სიტყვებით:

„მოსვენება დამიკარგეს ადამიანებმა“.

ახალ თარგმანებზე წერისას მთავარი სირთულე ისაა, რომ სათქმელიც თქვა და არც ზედმეტი წამოგცდეს რამე, ამიტომ ძალიან ვფრთხილობ, მაგრამ, ხომ გითხარით, წიგნი კი არა, მზის წნულში დარტყმა-მეთქი. ჰოდა, ძალიან მინდა, ეს დარტყმა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს.

უკეთესები გავხდებით და იმიტომ.



დანიელ კიბი
ფაპილები ელჟერონისთვის

ინგლისურიდან თარგმნა
თინათინ ხომერიკმა
გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
2015

ყვავილები ელჟარნონისთვის

ევა ირემაშვილი

როცა ეს წიგნი პირველად წავიკითხე და მისი ბოლო სტრიქონები ხელმეორედ გადავიკითხე (რა ვქნა, ასეთი ჩვევა მაქვს), ერთიანად მომაწვა ყელში ბურთი, სავსე სიბრაზისაგან, სიბრალულისგან და თანაგრძნობისგან. ვიწექი იმ ღამეს სულშეგუებული და მთელი გულით ვცდილობდი მეტირა, რომ როგორმე გამექარვებინა გულზე მოწოლილი სიმძიმე. არაფერი გამომივიდა. ვერაფრით ვიტირე. წიგნის გავლენა იმხელა იყო, რომ კარგა ხანს ისევ იქ ვიყავი, ჩარლის სამყაროში. გონებაში განუწყვეტლივ ვიმეორებდი მთელ ისტორიას და ვცდილობდი მეპოვა ის ადგილი, წერტილი, საიდანაც ყველაფერი შეიცვალა, საიდანაც დაიწყო დასასრული. თითქოს საკუთარი თავის სანუგეშოდ მიმდოდა ფინალის გადაწერა. არ მეთმოზოდა ჩარლი გასაწირად. მიყვარდა და მისთვის უკეთესი მომავალი მიმდოდა. ჩემებური უკეთესი მომავალი. ვბრაზობდი ყველაზე: ავტორზე, სამყაროზე, ცხოვრების უსამართლობაზე, პროფესორ ნიმურზე, ექიმ სტრაუსზე, მისს კინიანზე. ვბრაზობდი საკუთარ თავზეც კი, რომ შეცვლა არაფრისა შემეძლო. არ შემეძლო დავხმარებოდი ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება მარტოსული იყო და სხვებისგან მხოლოდ სიყვარულს ელოდა.

„ყვავილები ელჟერნონისათვის“ ჩვეულებრივი წიგნი არ არის. ეს წიგნი ერთნაირად საჭირო და აუცილებელი წასაკითხია ნებისმიერი ადამიანისთვის, დიდისა თუ პატარისთვის. ის ალალ და გულწრფელ ადამიანზეა, უბოროტოსა და სუფთაზე,

რომელიც ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო თავისდაუნებურად გაირიყა საზოგადოებისგან. ჩარლი გორდონი გონებრივი განუვითარებლობის დროს გარშემომყოფების დაცინვის ობიექტი იყო, თუმცა ის ამას თავად ვერ აღიქვამდა და მარტოსულობის შეგრძნებაც არ ჰქონდა. განვითარების მაღალ საფეხურზე, კი სრულიად მარტო დარჩა, რადგან გარშემო არავინ ჰყავდა, რომელიც ბოლომდე გაუგებდა და მოუსმენდა. არავინ იყო ისეთი, ვინც მის გონებრივ შესაძლებლობებს გაუთანაბრდებოდა. არავინ მოიძებნა, ვინც მას გვერდში დაუდგებოდა და ისეთს მიიღებდა, როგორიც იყო.

წიგნი ერთდროულად ძალიან ბევრ მტკივნეულ თემას ეხება, რომელშიც საზოგადოების როლი და დამოკიდებულება გადამწყვეტია. ის პირდაპირ ასახავს დამოკიდებულებას უნარ-შეზღუდული ადამიანების მიმართ, რომლისთვისაც ისინი სრულყოფილ ადამიანებად, სრულყოფილ ინდივიდებად არ აღიქმებიან. მტკივნეულია იმის გააზრებაც, რომ ჩარლი სირცხვილისა და დანაშაულის შეგრძნებას იწვევდა საკუთარ დედაშიც კი. შვილის გონებაშეზღუდულობით შეძრული ქალი სასოწარკვეთილი ცდილობდა რამენაირად „ჭკვიანი“ გაეხადა იგი, მაშინ, როცა ის უბრალოდ ისეთი უნდა ყვარებოდა, როგორიც იყო. განუწყვეტლივ უჩიჩინებდა „ჭკვიანად“ გახდომის მნიშვნელობას და გაუცნობიერებლად მუდმივ სტრესში ამყოფებდა მას. ჩარლის მოტივაცია და სწრაფვაც, ესწავლა წერა-კითხვა, მხოლოდ იმისკენ იყო მიმართული, რომ ამით

საკუთარი მშობლების სიყვარული დაემსახურებინა, ისინი გაეხარებინა, მათთვის ესამოვნებინა.

დენიელ კიზი ამ წიგნში ერთი კაცი-სა და ერთი თავისი ურთიერთობა-საც აღწერს, რომლებიც ერთნაირად მარტოსულნი და გარიყულნი იყვნენ, მაგრამ მაინც არ შეეძლოთ ერთმანეთისათვის ამ მარტოობის შევსება. თუმცა მსგავსების დაჭერის შემდეგ ალბათ ამიტომაცაა, რომ ჩარლისათვის ელჟერნონი იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითების შემდეგაც კი, ის მას პიროვნებად აღიქვამს და ითხოვს მის საფლავზე ყვავილების მიტანას.

ჩარლი სახეა ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანისა, რომლითაც ავტორი ცდილობს დაგვანახოს სრულყოფილი პიროვნება დაბალი ინტელექტუალური მონაცემების უკან. ის გვაჩვენებს ცხოვრებას მათი თვალთ და ცდილობს თანაგრძნობა გამოიწვიოს მკითხველში, საკუთარ თავთან ჩააღრმავოს ისინი და ამით ბევრად უფრო შემწყნარებელნი გახადოს.

„ყვავილები ელჟერნონისათვის“ არის წიგნი, რომლის წაკითხვის შემდეგ ნებისმიერი ადამიანი ბევრად უფრო კეთილი და ლმობიერი გახდება, ვიდრე ჩარლისთან შეხვედრამდე იყო. მანამდე კი – კურდღლის ფეხი, ერთპენიანი და ნალი მოიმარაგეთ.



მარგარეტ თეთჩერი

როგორც თავად იტყოდა

მარგარეტ თეთჩერი
როგორც თავად იტყოდა
იან დეილის რედაქციით

ინგლისურიდან თარგმნა
თაკო ქილაძემ
გამომცემლობა „არტანუჯი“
2015

მარგარეტ ტეტიერის მისივე სიტყვებით

ბიორბი ბადრიძე

მარგარეტ ტეტიერს მსოფლიოში იცნობენ, როგორც ბრიტანეთის პირველ ქალ პოლიტიკურ ლიდერს და პრემიერ-მინისტრს (1979-1990). თავისი მტკიცე მრწამსისა და გაუტეხელი ხასიათის გამო ის ისტორიაში „რკინის ლედის“ სახელით დამკვიდრდა, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი და რეფორმატორი.

იან დეილის წიგნი, რომელშიც ტეტიერის ინტერვიუები და სიტყვით გამოსვლებია თავმოყრილი, წარმოგვიდგენს ამ დიდი პოლიტიკური ფიგურის შეხედულებებს, ფასეულობებს და ადამიანურ სახეს. ამ ყველაფრის შესახებ მოგვითხრობენ არა ტეტიერის თანამებრძოლები ან მოწინააღმდეგეები, არამედ მისი საკუთარი სიტყვები, წარმოთქმული ან დაწერილი პოლიტიკაში მოსვლის ადრეული დღეებიდან მის გარდაცვალებამდე.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რასაც ამ უაღრესად საინტერესო წიგნის მკითხველი გააკეთებს, არის ის, რომ მარგარეტ ტეტიერის წარმატების მთავარი საიდუმლო არა პოლიტიკის ხელოვნების სიღრმისეული ცოდნა ან ნიჭი გახლდათ, არამედ ის, რომ პოლიტიკაში ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, საკუთარი მრწამსით და ფასეულობებით ხელმძღვანელობდა. მისთვის გამორიცხული იყო ამ ფასეულობების შეწირვა პოლიტიკური სარგებელის სანაცვლოდ და სწორედ ამან გამოიწვია როგორც მისი აღმასვლა ბრიტანეთის და მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალებზე, ისე ძალაუფლების დაკარგვაც, როდესაც, ზედიზედ სამ არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, 1990

წელს საკუთარმა თანაგუნდეებმა გადადგომა აიძულეს.

ტეტიერის მონათხრობი გვამცნობს მისი მოკრძალებული წარმოშობისა და ტრადიციული ოჯახის შესახებ, რომლისგანაც მან დაუღალავი შრომა და ქრისტიანული ფასეულობები ბავშვობიდანვე შეითვისა და მთელი ცხოვრება თავის მორალურ კომპასად ატარა.

ძნელად წარმოსადგენია სხვაგვარი ადამიანი, რომელიც ესოდენ მტკივნეულ და ფუნდამენტურ რეფორმებს შეეჭიდებოდა, რათა ბრიტანეთი ეკონომიკური და პოლიტიკური უფსკრულიდან გამოეყვანა. ეს რეფორმები – მასობრივი პრივატიზაცია, სოციალური პროგრამების შეკვეცა და ბევრი სხვა რადიკალური ცვლილება, რომელთაც „ტეტიერის რევოლუციას“ უწოდებენ, დღემდე მწვავე დაპირისპირების საგნად რჩება ბრიტანეთში. მემარცხენე ძალებს არ წარმოუდგენიათ ტეტიერზე უფრო საძულველი პოლიტიკური ფიგურა, ხოლო სხვებისთვის ის სწორედაც რომ გმირია, რომელმაც ქვეყანა სრულ განადგურებას გადაარჩინა. ასე თუ ისე, ფაქტია, რომ 1979 წლისთვის, როცა ტეტიერმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა პირველად მოიპოვა, ბრიტანეთი წლების განმავლობაში ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის პირობებში ცხოვრობდა და ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე იდგა. 1990 წელს მან სულ სხვა ბრიტანეთი დატოვა – უფრო დარწმუნებული საკუთარ თავში და ეკონომიკური აღმასვლის გზაზე შემდგარი.

მსოფლიოს ასევე გაუმართლა, რომ გლობალური კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორ ბუმბერაზ ფიგურას – რონალდ რეიგანს და მარგარეტ ტეტიერს – ერთდროულად მოუწიათ მოღვაწეობა, რამაც ისინი უახლოეს თანამებრძოლებად და მეგობრებად აქცია. ტრანს-ატლანტიკური კავშირი და აშშ-ბრიტანეთის „განსაკუთრებული ურთიერთობები“ არასოდეს ყოფილა უფრო მყარი, ვიდრე რეიგანისა და ტეტიერის პარტნიორობის პერიოდში.

ამ წიგნის გაცნობის შედეგად მკითხველი ასევე თავად დარწმუნდება, რომ ტეტიერი ბრწყინვალე ორატორიც იყო. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც იან დეილმა გადაწყვიტა მარგარეტ ტეტიერის პიროვნება ჩვენთვის ტეტიერის საკუთარი სიტყვებით გაეცნო – მასზე უკეთ ამას ვერავინ გააკეთებდა.

დღევანდელ მსოფლიოს მწვავედ აკლია ისეთი ლიდერები, რომლებიც პოლიტიკური უნარების გარდა ჭეშმარიტ ფასეულობებს ატარებენ და ძალაუფლების მოსახვეჭად უახლოესი არჩევნების მოგების გარდა უფრო დიდი მიზნებით ხელმძღვანელობენ.

მართალია, მკითხველთა ნაწილს, რომელიც არ იცნობს ბრიტანეთის პოლიტიკურ სისტემას, შესაძლოა გაუჭირდეს გარკვეული ტერმინების გაგება, მაგრამ ეს წიგნი ფრიად საინტერესო იქნება არა მხოლოდ პოლიტიკისა და ისტორიის მკვლევრებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.



იუსტაინ გორდერი,
ბანჟოს საიდუმლო

ინგლისურიდან თარგმნა

დათო აკრიანმა

გამომცემლობა „პალიტრა L“,

2015

სამყაროში არსებობს უამრავი საინტერესო, თავგადასავლებით სავსე გზა, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა უფრო მარტივ და ადვილად გასავლელს ირჩევს. ამ გზაზე ჩვენ არც ჯადოდანსური ფერიები, არც ელვები და არც რაიმე სხვა სახის ზებუნებრივი არსება შეგვხვდება. ჩემი წარმოსახვით, ჩვენ წინ აღმართულია ხის კარი, რომლის შეღებვას სულის მხოლოდ ერთი შებერვა სჭირდება. თვალახვეულნი შევდივართ კარში, რომლიდანაც არასოდეს აღარავინ დაბრუნებულა, რადგან მის სიღრმეებში მცხოვრები არსება მეტად მოხერხებულია, რომ ძლიერი მარწუხები ჩაგვავლოს და აღარასოდეს მოგვცეს უფლება, ვინილოთ ის, რაც მანამდე მუდმივად ჩვენ თვალთახედვაში არსებობდა და ხელს გვიწვდიდა. საკმარისი იყო, მხოლოდ გაგვეხსნა ჩვენი გონების უკიდვანო სიღრმეები და მიგვეცა საშუალება, თვალთ აგვეხელოდა.

დიახ, ასე სწორედ ის ადამიანი საუბრობს, რომელმაც შეძლო და ჩართო ის ყოვლისშემძლე მექანიზმი, რომელიც გვიჩვენებს მიმართულებას იმ არაჩვეულებრივი გზისაკენ, ჯერ რომ ჩვენ არსებას არ უხილავს, მაგრამ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მიაღწევს, დაინახავს და ათრთოლებულს, აღფრთოვანების შეძახილი აღმოხდება.

მექანიზმის ჩართვის გზა თითოეული ჩვენგანისთვის ინდივიდუალურია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მე საოცარი ავტორის მეტად საოცარი წიგნი დამეხმარა, რომელში აღწერილი ამბავი და პერსონაჟები გვგრიან იმ შეგრძნებას, გულ-მკერდის არეში რომ დაისადგურებს და თითქოს სუნთქვის უნარის წართმევას ცდილობს.

მე ვიმოგზაურე ორ არაჩვეულებრივ და მეტად საოცარ პიროვნებასთან – ჰანს თომასთან და მის მამასთან, ერთად. ჩემს თავს გადახმდარმა ყველა მოვლენამ სასიამოვნოდ გამაბრუა და თავბრუ დამხვია. ეს იყო გამაოგნებლად საინტერესო და საუკეთესო შეგრძნებებით აღსავსე მოგზაურობა...


ალბებში უცნაურ კაცს შევხვდით, რომელიც იმდენად პატარა აღმოჩნდა, რომ ჰანსი მთელი მოგზაურობის განმავლობაში ჯუჯის სახელით მოიხსენიებდა. უფრო განმაცვიფრებელი კი მის მიერ მოცემული გამადიდებელი შუშა აღმოჩნდა, რომელიც იღუმალი მზერით გადმოგვცა და გვითხრა, დაგჭირდებათო. შემდეგ შევხვდით მეფუნთუშეს, რომლის გამომცხვარ ფუნთუშაში აღმოვაჩინეთ პაწაწინა წიგნი. წვრილი შრიფტის წაკითხვაში იღუმალი ჯუჯის მიერ მოცემული ლუპა დაგვეხმარა. ჩვენც მოვიმარჯვეთ ის და კითხვას შევუდექით. წიგნმა მოგვითხრო გასაოცარი ისტორია საოცრებათა კუნძულის შესახებ, სადაც ყველა მის ბინადარს განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. შევხვდით უცნაურ არსებებს, რომლებიც გამუდმებით გაუგებარ წინადადებებს იმეორებდნენ და ზურგზე ბანქოს ნიშნები გამოსახვოდათ. შევშინდით და გავოცდით იმით, რომ კუნძულზე არ არსებობდა სხვა სულიერი, გარდა უცნაური არსებებისა. უამრავი კითხვა დაგვებადა, მანამ სანამ არ ვიპოვეთ ფროდე, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გვიამბო კუნძულზე მომხდარი ჩვენთვის ამოუცნობი მოვლენების შესახებ...

ამ საოცარმა მწერალმა დამისვა კითხვა „რატომ ხარ ცოცხალი?“, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი და ახლაც არ ვიცი, გავეცი თუ არა სრულფასოვანი პასუხი. მსურს მოვიყვანო ნაწყვეტი, სადაც გემბანზე მყოფი ჰანს თომასი დიდი ინტერესით აკვირდებოდა ხალხს: „შესაძლოა ითქვას, ისინი ცოცხლები უფრო იყვნენ, ვიდრე ცნობიერ შეგნებულნი“. ამ სიტყვებმა სამუდამო ადგილი დაიკავა ჩემს არსებაში და იმ დღიდან ვცდილობ, არასოდეს დავემგვანო მათ, ვინც ჰანს თომასი ამგვარად საუბრობდა.

ავტორმა თავი გასაოცარი ზღაპრის გმირად მაგრძნობინა, მისმა ყოველმა სიტყვამ ჩემში საოცარი გარდატეხა მოახდინა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ვარსებობ იქ, სადაც ჩემთვის

ვის განკუთვნილი ადგილი დიდ ხანს მელოდებოდა. ბოლოს კი მეც დავიმკვიდრე თავი ამ „გიჟურ თავგადასავალში“, მეც ვარსებობ და დღითი-დღე ვცდილობ გადავიცე ისეთ პიროვნებად, როგორც წიგნის გმირები არიან. მე არ მსურს მივყვე იმ ადვილად საპოვნელ გზას და შევალ ხის კარი, საიდანაც არ ბრუნდებიან, აღარ გამიტაცებს „ზეზუნებრივი“, რადგან ვეთანხმები ავტორს და მიმაჩნია, რომ ეს „დიდი სიბრძნით დაავადების სიმპტომაა“. სწორედ ეს წიგნი გახლავთ ის, რომელიმაც მიმახვედრა, რომ აუცილებელია გონებაში ნათელი სურათი შევიქმნა, გავიაზრო და არ დამავიწყდეს რომ „მთელი სამყარო განზრახ არის ჩაფიქრებული“. და ადრე თუ გვიან დავინახავ, რომ „აურაცხელ ვარსკვლავთა და გალაქტიკათა მიღმა, რაღაც მიზანმიმართული აზრი დევს“. ამისხნა, რომ ჩვენ იმდენად დიდი ხანია ვარსებობთ ამ სამყაროში, რომ ყოველივე მასთან დაკავშირებულში უჩვეულოს ველარაფერს ვხედავთ. ნათქვამის დასამტკიცებლად მომიყვანა მაგალითი, რომელიც ბავშვებს ეხებოდა: „ვიდრე ბავშვები ვართ, საგანთა განცდა-შეგრძნების უნარიც მოგვცადა. ვიზრდებით და ყველაფერს ვერჩევით. როგორც ჩანს, გაზრდა მგრძნობელობითი ცხოვრების მიძალაბას ნიშნავს“. წიგნის პერსონაჟებმა აღმიძრეს სურვილი, მანამ არ დავტოვო ეს დედამიწა, სანამ არ შევიცნო საკუთარ არსებას და იმას, თუ საიდან მოვდივარ. ჩემი გონების ზედაპირზე ამოტივტივდა ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც არაჩვეულებრივი გზისკენ მიმიყვანს და ნათლად გავიაზრე, რომ „არაფერია ამ ქვეყნად ისეთი რთული და მშვენიერი, როგორც პიროვნება“...

ამ ყოველივეს შემდეგ, მე ბედნიერი ვარ იმით, რომ 1952 წლის 8 აგვისტოს სამყაროს იუსტიან გორდერი მოევლინა და მაღლობას უხუბდი მას, რომ შექმნა ისეთი საოცარი წიგნი, როგორიცაა „ბანქოს საიდუმლო“.



იან მარტელი
პის ცხოვრება

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ბაბუაძემ

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2015

პის ცხოვრება ანუ როგორ გავიცნოთ ღმერთი

მაშო სამადაშვილი

„ხედავ ამ ფერმერთა სპირალებს ფურცლების კიდებზე? ხომ მეგონა, ქაღალდი არ მეყოფოდა და სინამდვილეში კალამი დამითავრდა“.

პისინ მოლიტორ პატელი 15 წლის ბიჭია, რომელიც ოჯახთან და ოჯახის საკუთრებასთან, ზოოპარკის ბინადარ ცხოველებთან ერთად საცხოვრებლად ინდოეთიდან კანადაში გემით მიემგზავრება, გემი იძირება, მისი ოჯახის ყველა წევრი კვდება, ხოლო თვითონ 227 დღით სამაშველო ნავზე შუაგულ ოკეანეში ორანგუტანთან, აფთართან და ბენგალიურ ვეფხვთან ერთად აღმოჩნდება.

„პის ცხოვრება“ არის წიგნი ადამიანზე, მის განცდებზე, დილემებზე, სამყაროში საკუთარი ადგილის ძიებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნს გამორჩეულად წარმატადი სიუჟეტი აქვს, ეს არ არის მისი მთავარი ღირსება, ეს ის სიღრმეა, რომელიც მასში განხილულ ყველა თემას დაჰყვება.

ავტორი გასაოცარი სიზუსტითა და სფეროს ზედმიწევნით ცოდნით გვიამბობს ცხოველთა სამყაროზე, რომელიც წიგნში, ცხადია, ადამიანების მეტაფორული სახეა. ზოოპარკი, როგორც საზოგადოება და ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი ცხოველები, როგორც ადამიანები, რომლებისგანაც ყველაფერს უნდა ელოდო. პი შუა მოგზაურობისას ამბობს:

„ეს მშვიდი, მტკიცე და თვალუწვდენელი ნაპირი ღმერთის გრილ ლოყას ჰგავდა, სადღაც, აქვე უფაღს სიამოვნებით უციმციმებდა თვალებიც. პირზე კი სიამოვნების გამომხატველი ღიმილი გადაჰკვროდა, რადგან მე უკვე ახლოს ვყავდი“.

და ჩემთვის ყველაზე მეტად ეს წიგნი ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობაზეა, ამას რამდენიმე საკვანძო ეპიზოდი მოწმობს: როდესაც პი ცდილობს სამ ღმერთს შორის იპოვოს საერთო,

ურყევი ჭეშმარიტება; როდესაც კარგავს ყველაფერს, რაც აქვს; როდესაც ერთი არჩევანი აქვს – ან სიკვდილი, ან გამარჯვება; როდესაც არც ერთი წამით არ კარგავს რწმენას, ღვთის სიყვარულსა და იმედს.

მწერლის კიდევ ერთი ღირსება წერის ოსტატობაა. წიგნის მეორე ნაწილში, როდესაც პის მონათხრობიდან ძნელი გასარჩევი ხდება, რა მოხდა მის თავს რეალურად და რა არის გამონაგონი, მაინც არ გტოვებს შეგრძნება, რომ ყველა და ყველაფერი არსებობს და არსებობს იმდენად, რომ წიგნის დასრულებისა და დახურვის შემდეგ ამ ამბებზე ფიქრი არ გტოვებს.

„ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, რაღაცები წესიერად დაასრულო. მხოლოდ ასეთი დასასრულის შემდეგ გტოვებს მოგონება; მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ, მოეშვა და დაივიწყო. თუ არადა, ვერასოდეს იფიქრებ სიტყვებს, რომლებიც გინდოდა გეთქვა და არ აღმოთქვი, გულს კი ბოლომდე ჩარჩენილი სათქმელი გიმძიმებს“.

ისევე როგორც ყველა ამბავი, პის ამბავიც სრულდება, მაგრამ მხოლოდ სიმბოლურად, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენი თავგადასავალი იმდენად შთამბეჭდავია, რომ მისი გავლენიდან ვერასდროს გამოდიხარ და ის მთელ შენს ცხოვრებას განაპირობებს.

„პის ცხოვრება“ დაუფერებელი თავგასავალია.

თუ ისე მოხდა, რომ ეს წიგნი ხელში ჯერ არ ჩაგვარდნიათ, სასწრაფოდ დაიწყეთ მისი ძიება, რადგან გარდა იმისა, რომ ორიგინალური ტექსტი, მართლაც, განსაკუთრებულია, მისი ქართული თარგმანი გამორჩეულად მაღალი ხარისხისაა და წიგნი ერთი ამოსუნთქვით, სულ რამდენიმე საათში იკითხება.

სასიამოვნო კითხვას გისურვებთ!

